კრიპტოვალუტით შრომის ანაზღაურების პერსპექტივები საქართველოში

ნონა ბერიძე

მარიამ ზარნაძე

ინგა ბეჟანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მიხელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია თემაზე „კრიპტოვალუტით შრომის ანაზღაურების პერსპექტივები საქართველოში“, სადაც ფოკუსირება გაკეთებულია ბიტკოინზე. ნაშრომში მოყვანილია კრიპტოვალუტის, ვირტუალური ფულისა და ციფრული ფულის განმარტებები, რითაც ხდება მათი გამიჯვნა ერთმანეთისგან. აღწერილია ბიტკოინის წარმოშობის და განვითარების ეტაპები, თუ რა გზა განვლო გამოგონებიდან დღემდე, რა ფაქტორები მოქმედებს მის ღირებულებასა და ფასზე, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. განვიხილავთ კიპტოვალუტის\ბიტკოინის მოპოვების და გამოყენების ალტერნატიულ გზებს.

ნაშრომში აღწერილია მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე პროცესები კრიპტოვალუტის სფეროში. რა სახის რეგულაციებს ატარებენ ქვეყნები, ამკრძალავს თუ ხელშემწყობს. გავეცნობით მსოფლიო პრაქტიკას კრიპტოვალუტით პროდუქტის, მომსახურების ყიდვა/გაყიდვის და შრომის ანაზღაურების კუთხით. საით მიდის მსოფლიო, შესაძლებელია თუ არა კრიპტოვალუტამ ჩაანაცვლოს ტრადიციული ფული.

განხილულია საქართველოში მიმდინარე პროცესები კრიპტოვალუტებთან მიმართებით, ქვეყნის კანონმდებლობა, საფრთხეები და მათი აღკვეთი ღონისძიებები. ჩვენი ქვეყნის პოზიციონირება მსოფლიო მასშტაბით კრიპტოვალუტის სამყაროში. სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენელთა მოსაზრებები და პროგნოზები კრიპტოვალუტის მომავალთან დაკავშირებით. მოსახლეობის ინფორმირებულობა და მოლოდინები, მათი დამოკიდებულება კრიპტოვალუტის ,როგორც მომავლის ფულის მიმართ. ქვეყანაში კრიპტოვალუტით პროდუქტის\მომსახურების ყიდვა-გაყიდვის და შრომის ანაზღაურების არსებული პრაქტიკა და განვითარების სქემები.

საძიებო სიტყვები: კრიპტოვალუტა, ბიტკოინი, კრიპტოვალუტის რეგულირება, ბიტკოინის სახელფასო სისტემა

Abstract

The master thesis presents topic on "The perspectives of labor remuneration with crypto currency in Georgia (on example if Bitcoin)". The work brings together definitions of crypto currency, virtual money and digital money to make a clear separation of one from another. Describes the stages of creation and development of Bitcoin, the factors influencing on its value and price, pros and cons of Bitcoin. Will be discussed various ways of producing and using crypto currency/Bitcoin.

The work describes ongoing worldwide processes happening in crypto currency world. What kind of regulations are implemented by various countries – are they interdictory or facilitating. We will have closer look at existing, world-wide practice regarding trading for products/services and labor remuneration with crypto currency.

The work reviews ongoing processes that takes place in Georgia regarding crypto currency - country's legislation, threats and suppressing actions. How our country is positioning in crypto currency worldwide. Opinions and projections of state and private sector representatives regarding the future of crypto currency. Population's awareness, expectations and their attitude towards crypto currency, as to a future's money. Existing practices and development schemes for trading products/services and payroll with crypto currency in the country.

Key words: Crypto currency, Bitcoin, regulations of crypto currency, Bitcoin payroll system.